

შეცვლის ბარათი

0. შეცვლათა მოსაწესრიგებლად 2016 წლის შემოდგომაზე დიდ 10-ში შემოვიდეთ ბარათების სისტემა, რომელიც იმ დროს უკვე წარმატებით მოქმედებდა საერთაშორისო ასპარეზოზე და ბევრ ქვეყანაშიც. 2021 წლის შემოდგომაზე ამ ბარათების გამოყენება სავალდებულო გახდა ყველა ლიგაში

1. თამაშის წინ: ოქმში 23 მოთამაშის ჩამოწერის, ხოლო დიდ 10-ში – დადასტურების შემდეგ, მატჩის მეთვალყურე (დელეგატი | კომისარი) გუნდის მენეჯერს გადასცემს 12 (თორმეტი) უხმარ (ცარიელ) ბარათს

2. ბარათები მუყაოსია, ზომით "ა7" (105 * 74 მმ) – საწერი თაბახის მერვედი

2.1 მასპინძელი გუნდის ბარათები მუქი წითელია, სტუმრისა – ცისფერი

3. ბარათები გამოიყენება შეცვლისა და "შეცვლილის დაბრუნების" დროს

3.1 ყოველი შეცვლისთვის გამოიყენება თითო ბარათი – რამდენიმე შეცვლა არ იწერება ერთ ბარათზე

3.2 სისტემის წარმატება დამოკიდებულია მენეჯერების, "მეოთხე მსაჯისა" და მეთვალყურის წესიერებასა და გამართულ ურთიერთქმედებაზე



4. შეცვლა მზადდება ასე:

4.1 "გუნდის მენეჯერი" "მეოთხე მსაჯს" (მისი უყოლობისას კი – მეთვალყურეს) წარუდგენს იმ მოთამაშეს, ვინც მოედანზე უნდა შევიდეს

4.2 მენეჯერი "მეოთხეს" (მეთვალყურეს) გადასცემს ბარათს, რომლის დიდ უჯრებში წერია:

* იმ მოთამაშის ნომერი, ვინც მოედნიდან უნდა გამოვიდეს, და

* იმ მოთამაშის ნომერი, ვინც მოედანში უნდა შევიდეს

4.3 "შეცვლის მოტივი" აღინიშნება სათანადო პატარა უჯრის გადახაზვით [X]

4.4 შეცვლას შეიძლება ჰქონდეს "ოთხი შესაძლოდან მხოლოდ ერთი" მოტივი:

4.4.1 უბრალოდ – ჩვეულებრივი, ტაქტიკური შეცვლა, გუნდის სურვილით

4.4.2 სისხლი – დასისხლიანებული მოთამაშის დროებითი, "სავალდებულო შეცვლა"

4.4.3 სპეციალისტი – "იძულებითი შეცვლა" შერკინებაში მიწოლის შესანარჩუნებლად: გამოდის არა-პირველხაზელი და შედის სპეციალისტი პირველხაზელი

4.4.4 იძულებითი – დაშავების (ტრავმის) ან ტვინის შერყევის გამო

4.4.4.1 ამ შემთხვევაში მიზეზს ბარათის უკანა მხარეზე წერს მეთვალყურე, წინა მხარეზე კი, დიდ უჯრებს შორის – სვამს ჯვარს, რათა დაშავებული | ტვინშერყეული ვეღარ დაბრუნდეს

4.5 სისხლზე შეცვლის დროს "მეოთხე მსაჯი" დახედავს (სამოქალაქო) საათს, დასისხლიანებულის მოედნიდან გამოსვლის დროს მიუმატებს 15 წუთს, ამ – "დაბრუნების ვადას" ეტყვის გუნდის მენეჯერს და ჩაწერს უჯრაში "მზად იყოს"

4.5.1 თუ "დაბრუნების ვადა" შესვენებაზე ხვდება – ნამკურნალევი თამაშში მეორე ტაიმის დაწყებისთანავე უნდა ჩაებას

4.6 თუ ნამკურნალევი დასისხლიანებული "დაბრუნების ვადამდე" ვერ გამოცხადდა მეთვალყურესთან – იგი მოედანზე ვეღარ დაბრუნდება, მის ნაცვლად შესული კი – გინდაც მანამდე, ერთხელ (ან მეტჯერ) უკვე ნათამაშევი – თამაშს გააგრძელებს ისე, როგორც ჩვეულებრივი შეცვლის დროს

5. შეცვლისა და "შეცვლილის დაბრუნებისთვის" "მეოთხე" პირველივე "უქმ ბურთზე" უკავშირდება მსაჯს და აცნობებს, რომ გასახორციელებულია შეცვლა | დაბრუნება

5.1 მსაჯი მიმართავს სათანადო გუნდს და უცხადებს, თუ რა ნომრები უნდა გავიდნენ

6. "მეოთხე" (მეთვალყურე) უნდა დარწმუნდეს, რომ შესაცვლელი მოთამაშე მართლაც გამოვიდა მოედნიდან და გაეცალა "სათამაშო გარემოს"

6.1 "მეოთხემ" ამის შემდეგ 'და უნდა გადასცეს განხორციელებული შეცვლის ბარათი მეთვალყურეს (დიდ 10-ში – მატჩის მდივანს)

6.2 მეთვალყურემ | მდივანმა "განხორციელებული შეცვლა" ოქმში უნდა აღნუსხოს

6.3 "მეოთხეს" შეუძლია მეთვალყურესთან | მდივანთან გადაამოწმოს, თუ როდის უნდა იყოს ნამკურნალევი დასისხლიანებული "დასაბრუნებლად მზად"

6.4 "განხორციელებული დაბრუნების" შემდეგ მეთვალყურემ სათანადო ბარათს უკან უნდა წააწეროს "დაბრუნდა", ეს მოვლენა ოქმში ჩაწეროს შეცვლის გრაფაში და იგი რკალით დააკავშიროს პირვანდელ შეცვლასთან

7. კომისარმა "მეოთხისგან" მიღებული შეცვლის ბარათები გუნდების მიხედვით უნდა დაახარისხოს და ოქმთან ერთად წარმოადგინოს კავშირის ოფისში

8. როცა ლიგაში მოქმედებს "როტაციული შეცვლები" (შედი-გამოდი), მეთვალყურემ ბარათს უკანა მხარეზე უნდა წააწეროს, თუ შეცვლა მერამდენია

8.1 ასეთ შეცვლათა ლიმიტი ჩვეულებრივ თორმეტია (12)

8.2 თუ რა ტიპის შეცვლები არ შედის როტაციის სათვალავში – იხილეთ სათანადო ლიგის დებულებაში